სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 559
(ოქმი №496)

თბილისი 2023 წლის 28 სექტემბერი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლიის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" 2023 წლის პირველი, მეორე და მესამე კვარტლების პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარების გამო საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის დანიშვნასთან დაკავშირებით
კონკურსის გამოცხადების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 2-ე პუნქტის თანახმად,

1. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტლევიზიისა და რადიოს" 2023 წლის პირველი, მეორე და მესამე კვარტლების პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის (გარე აუდიტის) ჩატარების გამო საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის დანიშვნასთან დაკავშირებით, გამოცხადდეს კონკურსი წინამდებარე გადაწყვეტილებაზე თანდართული განცხადების შესაბამისად.

2. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ განთავსდეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისა და აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" ვებ-გვერდებზე.

დანართი: განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ (2 ფურცლად).

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

მიხეილ ჩიკვილაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი Besik Liluashvili 61003005358 Digitally signed by Besik Liluashvili Date: 2023.09.28 06:23:31 ლაშა ტუღუში

იზაბელა ოსიპოვა ზაზა აბაშიძე

გრიგოლ მურღულია ლიკა ბასილაია-შავგულიძე

ბონდო მძინარაშვილი

განცხადება

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს " 2023 წლის პირველი, მეორე და მესამე კვარტლების პერიოდის ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარებაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭო აცხადებს კონკურსს საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის მიერ, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ", სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევისიისა და რადიოს" 2023 წლის პირველი, მეორე და მესამე კვარტლების პერიოდის ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარებაზე.

საბოლოო აუდიტორული დასკვნის წარდგენამდე არაუგვიანეს 2023 წლის 10 ნოემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარედგინოს ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტისა და საგადასახადო აუდიტის შუალედური დასკვნა.

აუდიტორული დასკვნა წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, 4 ეგზემპლარად (მათ შორის, ელექტრონული ფორმით), არაუგვიანეს 2023 წლის 24 ნოემბრისა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N68).

მოთხოვნები:

- აუდიტორული ფირმის პირველი კატეგორიის საწარმოებთან მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება, სასურველია ტელე-რადიო მაუწყებლობის სფეროში;
- აუდიტორული ფირმა უნდა აკმაყოფილებდეს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს;
- აუდიტორულმა ფირმამ აუდიტი უნდა ჩაატაროს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი წესების შესაბამისად;
- გარე აუდიტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 60 000 (სამოცი ათასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

წინადადებების მიღების და შერჩევის პროცესი

წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს 2023 წლის 11 ოქტომბრის 18.00 საათამდე. წარმოდგენილ წინადადებაში მითითებული უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოს სავარაუდო ღირებულება.

საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N68) დალუქულ კონვერტში. კონვერტზე აღნიშნული უნდა იყოს კომპანიის დასახელება, საკონტაქტო მონაცემები და კონკურსის დასახელება, რომელზეც შემოტანილია განაცხადი.

წარმოდგენილი კონვერტების გახსნას, წარმოდგენილი განაცხადების განხილვას, შეფასებას, კონკურსში მონაწილე კომპანიების წარმომადგენლებთან გასაუბრებას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), გამარჯვებულის გამოვლენას და აუდიტორული კომპანიის დანიშვნას ახორციელებს საბჭო თავის სხდომაზე.

საკონკურსო წინადადებების განხილვა იწყება წარმოდგენილი კონვერტების გახსნით.

საკონკურსო წინადადებების განხილვისას საბჭო ითვალისწინებს:

ა) აუდიტორული ფირმის შეთავაზებულ წინადადებებს;
ბ) აუდიტორული ფირმის გამოცდილებას;
გ) მომსახურების საფასურს.

წარმოდგენილი კონვერტების გახსნის შემდეგ გამარჯვებულის გამოვლენამდე სამეურვეო საბჭო ან/და მისი თავმჯდომარე უფლებამოსილნი არიან გასაუბრებისთვის მოიწვიონ კონკურსში მონაწილე აუდიტორული ფირმის უფლებამოსილი წარმომადგენლები ინფორმაციის დაზუსტება/განმარტებისათვის.

წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების (მათში შემავალი დოკუმენტების, ასევე მონაწილე აუდიტორული კომპანიების უფლებამოსილი წარმომადგენლების ზეპირი დაზუსტებების/განმარტებების) განხილვის საფუძველზე საბჭო გამარჯვებულად აცხადებს აუდიტორულ ფირმას და თავისი გადაწყვეტილებით ნიშნავს მას საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს გარე აუდიტის განმახორციელებელ აუდიტორულ ფირმად.

<u>გამარჯვებულად ცხადდება ყველაზე დაბალი ფასის შემომთავაზებელი აუდიტორული ფირმა, რომლის წინადადება და განაცხადი შეესაბამება კონკურსის ყველა მოთხოვნას.</u>

წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭო შეარჩევს და 2023 წლის 20 ოქტომბრამდე გამოავლენს გამარჯვებულს.

საკონტაქტო ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ საკონტაქტო პირს:

სამეურვეო საბჭოს აპარატის უფროსი ირინე ზაქარიაშვილი: მობ. 577 177 100